ცნობის ფურცელი

№ 2625 ოთხშაბათი, 29 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2625

აზეთი დიდი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატ—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ნის დიდ ქუჩაზე, № 27.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

„წერა-კითხვის საზოგადოების" გამგეობა ამით აუწყებს „საზოგადოების" წევრებს, რომ ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი „საზოგადოების" საპატიო წევრის

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად.

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს,

კნეინა ანასტასია სუმბათაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. ბარბარეს ეკკლესიაში (შორეულში), რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ თავადი ალექსანდრე მიხეილის ძე და კნ. ბარბარე ალექსანდრეს ასული სუმბათაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—329—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ოთხშაბათს, 29 სექტემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება ევგენი ონეგინი ოპერა 3 მოქ., მუს. ჩაიკოვსკისა.
ონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტულლერი, ბუნაკოვა, შიხუცკაია; ბ-ნნი ბაქენოვი, სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, გალეცკი და ზელინსკი.
აპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
0 სექტ.—„რიგოლეტო". მზადდება პირველად „ნერონი", რუბინშტეინისა. გამგე ი. ა. კელლერი.
2 ოქტომბრიდან დაწყებული სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეებს შეუძლიანთ ოპერის ამგისაგან მიიღონ ჩეკის წიგნები, რომელზედ დაწესებულებათა ხაზინადრებს უნდა ეწეროთ ხელი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$0^1/_2$ ს.

ა. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

დ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

დ. ი, კიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა მკურნალობა ელექტრონით 12—1 ს.

ქალი ზ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა- ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

შ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ათ.

დ. ზ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. კვირათ. 1—2 საათამდე.

ზ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ა. ა. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორთო- ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. საათამდე.

საღამოთი:

ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოთვის აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ურნალები მორიგებით. კრავატები დღეში ორს ამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: ყუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან ძველზე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ოვალის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ვისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

პანსიონი
ისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლი
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
ღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—58).

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ურთანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
ღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—ხ—11)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—21)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—5.—22)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—12)

ბათომში კბილის ექიმნი:
მიხაილ მალაქიას-ძე მენაღარიშვილი და მინა ნიკოლოზის ასული მენაღარიშვილისა
გადავიდნენ:
შეპელევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის პირდაპირ ლაზარევის კუთხის სახლებში ნურიაში:
გახსნილი არის ორი განკერძოებული კბილის საექიმო კაბინეთი.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9 საათ. 2 საათამდის და საღამოს 4 ს-დან 8 ს-დის. კვირა დღეობით კი 9 საათ. 12 საათ., საღამოობით 5 საათ. 8 საათამდის.
შეგირდებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და აგრეთვე ყველა მსურველთ შეღავათიანის სასყიდელით: 50% დაკლებით ჩვეულებრივ ფასებზე. (1—3819—0)

საჭიროა
მასწავლებლები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სკოლებისათვის
გომარეთსა და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.)
მასწავლებელს ექნება გომარეთში ჯამაგირი 35 მან. თვეში და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.

მსურველნი უნდა გამოცხადდნენ ტფილისში, „საზოგადოების" კანცელარიაში, ორშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის $7^1/_2$ საათ გამოსაცდელ გაკვეთილების მისაცემად. (2—უ.—1)

მარტო შაბათს, 2 ოქტომბრამდე ძლიერ დაკლებულ ფასებში იყიდება საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები პასკევიჩის მაღაზიაში.
მოსწავლეებს პრემია
(1—330—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 სექტემბერი

შანჰაი, 26 სექტემბერი („რეიტ. სააგენტო"). როგორც მუკდენიდან იუწყებიან, რუსის ჯარი მდინარე ხუნხეს სამხრეთით თან-დათან ძლიერდება. ახლო მომავალში რუსის ჯარი წინ წავა.

ჩიფუ, 26 სექტემბერი („რეიტ. სააგენტო"). პორტ-არტურის საქმეების შესახებ უცნაური საიდუმლოებაა. უკანასკნელი ცნობა ციხიდან ორი დღის წინად მოვიდა. მოვიდა ბარათი გრადონაჩალნიკისა, რომელიც თხოულობდა, გაზეთები გამომაგზავნეთ, რადგან მცხოვრებთ უნდათ გაიგონ, რა ხდება სხვაგანაო. ჩინელნი ეხლა დიდ უარზე არიან, ველარ წავალთ ნავებით პორტ არტურშიო. უარს ამბობენ მაშინაც-კი, როდესაც ასს გირვანქა სტერლინგს აძლევენ. იაპონელებმა ბევრი ნავი ჩაიგდეს ხელთ, ბევრიც ჩასძირეს, ამიტომ, აშკარაა, ალყა გაუძლიერებიათ. ეს საქმე უძნელდებათ იაპონიის გემებს, რადგან ნაპირებიც უნდა დაიცვან როგორც დღისით, ისე ღამით. საფუძველია ვიფიქროთ, რომ იაპონელები საშიშოდ სთვლიან ბალტიის ესკადრის მოსვლას, ამიტომ სცდილობენ გაიმარჯვონ მალე პორტ-არტურთან. ხელახლა დაეტყო სიცოცხლე დალნის, სადაც იაპონელები შეუდგნენ იმ დივიზიის შევსებას, რომელიც პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმის დროს დაზარალდა. დალნში მიიტანეს აგრეთვე დიდძალი იარაღი. დალნიდან დაბრუნებული ჩინელნი ამბობენ, იაპონელთ კორეელი სალდათები და მუშები შველიანო. მთის ფერდობებზე იაპონელებს დიდი ფიჩხები გაუმართავთ, სადაც მუდამ ცეცხლი ანთია. ამ ფიჩხებში სწვავენ იაპონელთ სალდათების გვამებს. ნაცარს შემდეგ იაპონიაში გაჰგზავნიან და დიდის ამბით მიწას მიაბარებენ. დალნში ქასთან მოხელეებმა შეიპყრეს სიეჭვო ჩინელები. ფიქრობენ, ამ ჩინელებს წყლის მოწამვლა უნდოდათო. შედეგად ამას რამდენიმე კაცის სიკვდილით დასჯა მოჰყვა.

ლონდონი, 27 სექტემბერი („რეიტ. სააგენტო"). ოკუს ჯარიდან 26 სექტემბერს იუწყებიან, რომ მოწინავე რაზმებს შორის ყოველ დღე შეტაკებებიაო. პარასკევს იაპონელთა რაზმს იერიში მიუტანია რუსის ქვეითა ჯარის ორ როტასა და კავალერიის ორ პოლკზე. რუსებს ტყვიის მტყორცნელები ჰქონიათ. შეტაკება მომხდარა ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე, კორანის სამხრეთ-დასავლეთით. იაპონელებს გაუდევნიათ რუსები ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ, ამასთან რუსებს დაუკარგნიათ 15 კაცი. იაპონელებს ზარალი არ მოსვლიათ. 26 სექტემბერს იაპონიის ქვეითა ჯარმა ტაიხესთან უკან დასწია რუსის კავალერიის 400 კაცი. რუსებმა დაჰკარგეს 20 კაცი.

მელბურნი, 27 სექტემბერი („რეიტ. საგ."). არა მართლდება ის ხმა, ვითომ რუსის სამხედრო გემები ტორრესოვის სრუტეში იყვნენ. ფიქრობენ, რომ ეს ამბავი გამოგონილია.

რეველი, 27 სექტემბერი. დილის 9 საათზე მისი უდიდებულესობა, გენერალ-ადმირალის თანხლებით, წაბძანდა იმ ადგილას, სადაც პირველ განყოფილების ნაღმიანი გემები იდგნენ. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ნაღმიანი გემები „ბრავი", „ბედოვი" და „ბისტრი" და უსურვა ბედნიერი და ნაყოფიერი მგზავრობა. მერე მისი უდიდებულესობა გაემართა ნაღმიან გემთა მეორე განყოფილების დასათვალიერებლად. იქიდან ხელმწიფე იმპერატორი წაბძანდა დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის დანარჩენ გემების დასათვალიერებლად. 11 საათსა და 15 წუთზე მისი უდიდებულესობა „შტანდარტის" იახტაზე დაბრუნდა.

შანჰაი, 27 სექტემბერი („რეიტ. საგ."). ჩინელი მოხელეები ყიდულობენ დიდ-ძალ სურსათს, საზღვარ-გარეთიდან მოტანილს. ამ სურსათს ტიანძინში გაჰგზავნიან. არ იციან, ტიანძინიდან სად გაჰგზავნიან ამ სურსათს. მცოდნე ჩინელნი ამბობენ, ეს სურსათი რუსის ჯარისათვის არისო.

ლონდონი, 27 სექტემბერი („რეიტერის საგ."). ოკუს ჯარიდან დეპეშით იუწყებიან, „ჩინელნი ამბობენ, რომ რუსები მუკდენის სამხრეთით დიდ მიწის სიმაგრეებს აგებენო. ჰფიქრობენ, რუსებმა გადასწყვიტეს მტკიცედ დაიცვან მუკდენი. სხვათა შორის, რუსები ამაგრებენ რკინის გორას ტელინთან. რამდენსამე რუსის სალდათს ჩინელის ტანისამოსი აცვია. ამის გამო ფიქრობენ, რომ რუსის ჯარს საზამთრო ტანისამოსი ჯერ არ მისვლია.

რეველი, 27 სექტემბერი. $4^1/_2$ საათზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ლია ეტლით წაბძანდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში, სადაც დაჰხვდა სამღვდელოება. მცირე პარაკლისის შემდეგ მისი უდიდებულესობა წაბძანდა ვიშგოროდის თავად-აზნაურთა ლიუტერანების ეკკლესიაში. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მისი უდიდებულესობა „შტანდარტ"-ის იახტაზე დაბრუნდა.

28 სექტემბერი

რეველი, 27 სექტემბერი. საღამოს 7 საათზე გემ „შტანდარტთან" მოვიდა საიმპერატორო მატარებელი. ავგუსტოესი ოჯახი მატარებელში ჩაბძანდა. მატარებელი ბალტიის რკინის გზის სადგურზე წავიდა, სადაც თავმოყრილნი იყვნენ ყველა უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ყველა საზოგადოებათა დეპუტაციები. მათი იმპერატორებით უდიდებულესობანი მოწყალე სიტყვებით გამოესალმნენ დამსწრეთ და საიმპერატორო მატარებლის სალონ-ვაგონში შებძანდნენ. მატარებელი ნაშუადღევის 3 საათზე წავიდა. მათი უდიდებულესობანი ფანჯარასთან იდგნენ და მოწყალედ თავს უკრავდნენ ხალხს.

მუკდენი, 27 სექტემბერი (საკუთ. კორ.). იაპონელები ფიქრობენ ყველა დაჭრილთა და და ბრძოლის ველიდან წაყვანილთა სამაგიეროდ 1 ოქტომბერს სათადარიგო ჯარის კაცნი გამოგზავნონ. ინკოუს გზით იაპონელებს 15 ათას კაცისაგან შემდგარი მაშველი ჯარი მოუვიდათ და ამ დღეებში კიდევ სამ დივიზიას ელიან,—ხმელეთზე პორტ-არტურის ალყა შესუსტდა. ყველა ჯარები იანტაისკენ მიჰყავთ.

მოსკოვი, 27 სექტემბერი. თავადმა შირინსკი-შიხმატოვმა მოიტანა იაპონელთა ტყვიებით დახვრეტილი წითელის ჯვრის დროშა.

ჰავრი, 27 სექტემბერი. დილას რუსეთის კრეისერი „ობოლენსკი" ლიბავას წავიდა.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი („რეიტ. საგ."). ვლადივოსტოკში მყოფ საფოსტო გემ „კალხას"-ზე, რომელიც რუსეთის კრეისერებმა ივლისში ჩაიგდეს ხელში წყნარ ოკეანეზე, რუსების მოხელეებმა ამერიკიდან გამოგზავნილი საფოსტო ტომრები გახსნეს და ბევრი წერილი ჩაიგდეს ხელში, რომლებშიაც იაპონელებისათვის ძვირფასი ცნობები იყო.

ხარბინი, 27 სექტემბერი („საკუთ. კორ.") ხმებია, რომ იაპონელთ 80 მილიონ იენის ქაღალდის ფულის გამოცემა უნდათ და მეორე სარეზერვო არმიის შედგენა განუზრახავთ, რაიცა ძლიერ გაუძნელდებათ, რადგან აფიცერთა და საზოგადოდ გაწვრთნილ ჯარის კაცთა საკმაო რიცხვი არა ჰყავთ. ანგარიშობენ, რომ იაპონიას ამ ჟამად ბრძოლის ველზე სულ 400 ათასამდე კაცი ჰყავს.

რიაზანი, 27 სექტემბერი. გლეხმა სალტიკოვმა შესწირა წითელ ჯვარს ათასი მანეთი დაჭრილთა საავადმყოფოსათვის და ომის დასრულებამდე თავის ხარჯით შეინახავს ხუთ დაჭრილს.

(ომის დეპეშები იხილე მე-5 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ფრანგულ გაზ. „ეკო დე პარი"-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, ვითომ რუსეთს ძლიერ გაუჭირდა იაპონიასთან ომი,

რუსის ჯარს მანჯურიაში გული გაუტყდა, გენ. კუროპატკინს აღარ ენდობიანო“, ამიტომ რუსეთის მთავრობა მანჯურიაში მეორე არმიას ჰგზავნის და ამ არმიის უფროსად გენ. გრიპენბერგი დანიშნაო. ეს სულ ტყუილი ცნობებია. მეორე არმიის დაარსებას დიდი ხანია აპირებდა რუსეთი, გენ. გრიპენბერგიც თითონ გენ. კუროპატკინის თხოვნით დაინიშნა ახალ არმიის უფროსად. გენ. კუროპატკინი და გენ. გრიპენბერგი ოსმალეთსა და თურქესტანში ერთად იბრძოდნენ და დიდის ხნის მეგობრები არიან. ასე რომ რუსის მხედრობის სარდლები მანჯურიაში თანხმად მოიქცევიან და ერთმანერთს ჯიბრსა და შურლს არას დროს არ გაუწევენ. ჩვენ სარწმუნოდ გავიგეთ, რომ რუსეთის იმპერატორი მთავარ-სარდალსაც მალე დაჰნიშნავს. („პ. ვ.“).

„კენიგსბერგიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონელები, ეტყობა, მუკდენზე გალაშქრებას არ აპირობენ და თავიანთ მარცხენა ფრთაზე პოზიციებს ამაგრებენ. ამბობენ, იაპონელები პორტ-არტურის აღებასა და მაშველ ჯარის მოსვლას ელიანო. იაპონელები ამ ჟამად ლიაოიანიდან 32 ვერსის მანძილზე დგანან სხვა-და-სხვა ადგილას. („ბ. ვ.“).

„ტაიმს“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი სწერს: იაპონელების სამივე არმია ლიაოიანის ჩრდილოეთითა დგას 140 ვერსის სიგრძეზე. მდინარე ტაიძიხეზე ზოგიერთ ადგილას ხიდები ააშენეს. ის ხმა, ვითომ იაპონელებმა ლიაოიანი გაძარცვესო, ტყუილია. ინგლისის სამხედრო აგენტმა ჰამილტონმა მიამბო, გენ. კუროკის არმიაში ვარ და სამხედრო მოქმედებას ბეჯითად ვადევნებ თვალყურსაო. არავინ არას მიშლისო. („რ.“).

იაპონელები თავიანთ პოზიციებზე სანგრებსა ჰმართავენ. ყველაზე ბეჯითად რკინის გზის აღმოსავლეთით მდებარე პოზიციციებს ამაგრებენ. ჯარის გარდა, დიდ-ძალ ჩინელ მუშასაც ამუშავებენ. („ბ. ვ.“).

„ეკო დე პარი“ იუწყება: რუსები ჰფიქრობენ, მალე ვლადივოსტოკს დაეცემიან იაპონელებიო. ადმირალი კამიმურა თავის გემებით ვლადივოსტოკის ახლო ზღვაში დადის. მაგრამ ზოგიერთი ჰფიქრობს, იაპონელები მხოლოდ დემონსტრაციას ახდენენ, სანამ პორტ-არტურს არ აიღებენ, ვლადივოსტოკს არ დაეცემიანო. ვლადივოსტოკს მაინც ძლიერ ამაგრებენ. ახალ ფორტებს აშენებენ, ძველებსაც აძლიერებენ. ქალაქის გარეშემო მრავალი ფორტი ან დროებითი სიმაგრეა აგებული და მრავალი ბატარეაა დადგმული; სიმაგრეებსა და ფორტებს შუა მშვენიერი შოსსე გზაა გაყვანილი. („რ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფი კურინო ტოკიოდან პარიზში გაჰგზავნეს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ დელკასესთან მოსალაპარაკებლადაო. („პ. კ.“).

ლიაოიანის ამბები. „ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი ბ-ნი გარინი განაგრძობს: 20 აგვისტოს კიდევ იანტაის სადგურზე ვიყავით... გენ. ორლოვის მე-54 დივიზიას დღეს რაღაც ცუდი საქმე დაემართა. ნეტავ შევხვდე ვისმეს, რომ ეს ბრძოლა ან თვალით ენახოს ან სხვისაგან მაინც კარგად შეეტყოს. ამ დროს ავადმყოფებს ვაგონებში ჰსხამდნენ; მეც მებარა ავადმყოფები და იმათ სანახავად წაველ მატარებლისაკენ. ბნელაში ვიღაცა სალდათი შემხვდა, წითელ ჯვრის ბარგი მიჰქონდა ვაგონში.

— თქვენ, მგონია, დღევანდელ ამბას შეტყობა გნებავთ. მე გიამბობთ...

სალდათი თითქო დაფიქრდა და გაუბედავად განაგრძო:

— იერის პოლკის უნტერ-აფიცერი გახლავართ. მეც დავესწარ დღევანდელ ბრძოლას... იმ საზარელ ბრძოლას, გაოლიანში, დიახ, იმ ოთხ საათში ათის წლის სიცოცხლე დამაკლდა. ეჰ, სჯობდა, ფეხი არ მოგვეცვა და ერთ ადგილას ვწოლილიყავით. მტერს თვალი შევაჩვიეთ, კარგად ვუმიზნებდით და ნელ-ნელა ვესროდით თოფსა. ეგაა, იერიშით მისვლა მოვინდომეთ. წაველით. იაპონელები თურმე გაოლიანში ჩასაფრებულან; ჯერ სულ ახლო მიგვიშვეს და მერე უცებ თოფები დაგვახალეს. ნახევარი როტა მებარა. 120 კაციდან ორ-სამ წამში 12 კაცი-ღა დამრჩა. ხელად ორივე აფიცერი მოგვიკლეს. რა ვქნა? 12 კაცით იერიში მივიტანო? არ წავიდე და იქნება ურჩობისათვის თოფით დამხვრიტონ? რაც იქნება, იქნება, მეთქი, „მომყევით“—დავუძახე სალდათებს, იქვე ახლო პატარა ხევისაკენ გავქანდით და შიგ ჩავწექით. გარშემო ნამდვილი ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა: ყველგან ტყვია ზუზუნებდა, ყველგან ყუმბარა სქდებოდა. ამ სროლამ თავი ისე გამომილაყა, რომ მთავარი მცნება დამებნა, აღარაფერი აღარ გამეგებოდა. დიდ ხანს ვიწექით გონება დაფანტულნი. მერე, როგორც იყო, ცოტ-ცოტათი გონებაზე მოველით. კვნესა მომესმა. მივუკარდი ვიღაც დაჭრილი სალდათი წევს. ვკითხე: „რომ გიშველოთ, სიარულს შეიძლებ-მეთქი“.—შევიძლებო. „მაშ აქეთკენ გამოცოცდი“. ისევ ხევში ჩაველით. ვიფიქრე, მოდი დაჭრილებს მოვაგროვებ და სადგურისაკენ წავიყვან. ჩემ სალდათებს ვუთხარ: თითო სუმბუქად დაჭრილი იპოვეთ და მოიყვანეთ-მეთქი. ამ დროს თოფისა და ზარბაზნის სროლაც შესუსტდა.... საშინელი წამი გამოვიარე; მიკვირს, რომ კიდევ ენა მომეცა და ლაპარაკი მომინდა. ღმერთო, ღმერთო, რა ამბავი იყო დღეს! სჯობია კაცი სულ არ დაიბადოს, ოღონდ ამისთანა საზარელი ამბავი-კი არა ნახოს.

ბარგი ვაგონში ჩავაწყეთ და ისევ სადგურისაკენ გავსწიეთ. სალდათი განაგრძობს:

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასის უკანასკნელი ხვედრი არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთ-ჟურნალის გზავნა მოესპობათ 1 ოქტომბრიდან.

„ცნობის ფურცელი“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მან.

— სულ ვაკე ადგილს ვნატრობდით. მთას შეჩვეულები არა ვართო. გაოლიანი თურმე მთაზე უარესი ყოფილა. გორებზე ცოტა რამეს მაინც დაინახავ, გაოლიანში-კი თვალები რომ დაიჩიჩქნო, მაინც ვერას გაარჩევ: ერთმანეთსა ვხოცდით...

სადგურზე მიველით. იქ დიდ ხალხს მოუყრია თავი და ორ პარტიად გაყოფილა: უმცირესობა გენ. ორლოვს ამართლებს, უმეტესობა ამტყუნებს.

უმეტესობა ამბობს: ორლოვმა ბძანება არ შეასრულა; იმის მაგივრად რომ იანტაის მაღაროებზე მდგარიყო, იერიშით გაქანდაო.

უმცირესობა ესარჩლება ორლოვს: ამბობენ, ერთი ბატალიონი შეშინდა და ორლოვს უბრძანეს, მაგ ბატალიონს გაუძეხო. ისიც გაუძღვა. იმისი დივიზია ხამი, გამოუცდელია, ეს არის ახლა მოვიდა და ჯერ არც ერთ ბრძოლას არ დასწრებიაო.

ღამის 3 საათია. მთვარე ამოვიდა, სულ მოჰყავთ და მოჰყავთ დაჭრილები; იარებს ვაგზალში უხვევენ. სადგურის ბოლოში მაღაროებთან დაჭრილი სალდათები მოჰყავთ; მაღაროებიც იაპონელებს ჩაუგდიათ ხელში. ხან და ხან ვაგონებიდან საკაცეებით მკვდრები გამოაქვთ და სადგურის მეორე მხარეს მიაქვთ. იქ მოკლული სალდათები ასვენია; თან და თან ემატებათ. სახე დაფარებული აქვთ, თორმეტ საათის ბრძოლის შემდეგ მიუსვენიათ, ეხლა აღარაფერი აღარა სტკივათ.

მინდოდა ჩამოვმჯდარიყავ სადმე და პატარა დამეძინა. მაგრამ ადგილი არსად იყო. უფროსი ხალხი სულ ტელეგრაფის სადგურზე იყო შეკრებილი. ყველას გაფითრებული, დაქანცული სახე აქვს.

— ყმაწვილებო, მახარებია. გენ. ეზერსკისაგან დეპეშა მოვიდა: „კუროკის არმია დავამარცხეთ, ოკუს არმიის მარცხენა ფრთას უკან დავაწევინეთო“.

ყველანი ტელეგრაფის აპარატს მივცვივდით და ასჯერ გადავიკითხეთ დეპეშა. როგორღაც არა გვჯერა; სიხარულს გადავეჩვიენით. ყველანი ცის მანანასავით მოელოდნენ გამარჯვებას. ბევრს უთქვამს ჩემთვის: თუ არ გავიმარჯვებთ, რუსეთში ვეღარ დავბრუნდებითო. და აი ესეც ნამდვილი გამარჯვება. პლატფორმაზე გავე

ყველას ვუამბე გამარჯვების ამბავი, დათებსა და დაჭრილებსაც ვახარე. ყვე

ამოოხვრით მიგებდნენ: „ღმერთმა ბძანო

ზოგი პირჯვარს იწერდა. წითელ ჯ

რაზმის უფროსს თავადს ლვოვსაც ვა

— კარგია, თუ მართალია, მომიგო

ვადმა.

— მაშ არა გჯერათ?

— აი რა, არმიის მთავარ სადგურ

კითხოთ.

ამ დროს რკინის გზის მოსამსახურე

გვიახლოვდა და გვითხრა: ეხლა მ

პეტერბურგშიაც გაუგზავნიათ მაგ

დეპეშაო.

— აჰა! მაშ მართალი ყოფილა!

ყველანი სიხარულით გაივსნენ; დატ

ლი ხალხი ისე გაიაცოცხლა ამ ამბავმა,

გორც დიდ გოლვისაგან შეწუხებ

ნას წვიმა გააცოცხლებს ხოლმე.

მე და თავადი ლვოვი პლატფორ

თხეში ჩამოვჯექით და ვოცნებობდით

რე ვერცხლის შუქით ანათებდა არ

ჩვენ ვოცნებობთ. კუროკის არმია

ხებულია; რაღა თქმა უნდა, ნო

ოკუს არმიასაც დავამარცხებთ. ზოგი

სამხრეთისაკენ მიდის და პორტ-არტურ

თავისუფლებს, ზოგიც კუროკის არმიას

ნის და ანადგურებს. ამ დროს ბალტი

კაღრაც მოდის და ომი თავდება, ზავის

ბას ვუდებთ იაპონელებს და გამარჯვე

შინა ვბრუნდებით. ჩვენი სარდალი გე

როპატკინი...

ასე ტკბილად ვოცნებობდით. ბ

ლი მოგვინდა.

— ჩქარა მაინც მოვიდეს ჩვენი

გუშინ როგორ შევშინდით! მე-54 დ

დამარცხება ეხლა სახსენებელიც აღარა

ამ დროს ერთი ნაცნობი ქალი, ს

მყოფის ზედამხედველი, მომიახლ

— არ გითხარით გუშინ? აბა რა ტყ

გაგზავნეს ჩემი ბარგი! აღარა მკითხ

მომტაცეს და მუკდენს გაისტუმრეს.

ვინ იცის, როდის მოგვივა?

გათენდა. ერთი მეგობარი შემხვდა

ლში და ჩაის სასადილოში წავ

იქ ყველაფერი დაენგრიათ, აელაგებინ

— ყველაფერი მუკდენს წაიღეს, —

ვიღაცამ.

ბოლოს, როგორც იყო ერთი ქვაბ

ვეს და წყალი მოგვიდუღეს.

ლაცა ხმაუროზა მოგვესმა.

— რა ამბავია, ისევ ზარბაზ

ასტეხეს?—იკითხა ჩვენმა მეგობა

პეტროვიჩმა.

— ჰო... არა, ეგ ქარავანი მოდის.

სჩანს. ეგაა, რისთვის მიდის ჩრდილო

კენ?

— ეგ თითონ იციან. რა ჩვენი საქმ

ბრძანდით, ჩაი მიირთვით.

ფელეტონი

სალიტერატურო შენიშვნები

„მიქელა“—მოთხრობა დავით კლდიაშვილისა.
„მოამბე“ 1904 წ. № 1.

ბ-ნს კლდიაშვილს თანამედროვე მწერლობაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია; იმის კალმის ცხოველმყოფელი ნიჭი და აწინდელის ცხოვრების ღრმა დაკვირვება ეჭვს გარეშეა. მკითხველი ქართველი საზოგადოება ღირსეულად აფასებს ამ ნიჭიერს მწერალს და დიდს პატივსა სცემს. ბ-ნის კლდიაშვილის მოთხრობები მომეტებულ ნაწილად იუმორის კილოზეა დაწერილი და საგნად ის მრავალგვარი წვრილმანი უკუღმართობა აქვს, რომლებიც ბუნებითად და აუცილებლივ სჩნდებიან ჩვენს ცხოვრებაში და ახასიათებენ პატრიარქალურ ყოფა-მდგომარეობის დარღვევას არსებობის ახალ პირობებისაგან. პატრიარქალური და ფეოდალური სულიერი ვითარება, ბ-ნის კლდიაშვილის მხატვრულის აღწერილობით, ჰკარგავს საფუძველს კულანდელის ცხოვრების წესის შერყევისა გამო, და, როგორც საძირკველ დანგრეული, ულონოდ, მაგრამ გამწარებით ებრძვის ცხოვრების ახალს და ღონიერს მიმართულებას. საერთო სურათი ამ ბრძოლისა ჭეშმარიტის კომიზმით არის სავსე, რადგანაც იმის ტალღებში ჩათრეული ადამიანი გონებით მომავლისკენ არის მიქცეული, მაგრამ გული ისევ წარსულში აქვს ჩაფლული; ეს ორმაგობა ჰხდება საფუძვლად იმ გარემოებისა, რომ ადამიანს თავისი კულანდელი [illegible] კა, რომ ძველის წესით ცხოვრება უკვე შეუძლებელია. ბ-ნი კლდიაშვილი ცხოვრების ამ მხრივ გათვალისწინებას და აღწერილობას უეჭველად უნდა მიეყვანა „ქამუშაძის გაჭირვებამდე“, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ გამარჯვება ახალის ცხოვრების მიმართულებას და წესსა ჰრჩება.

ამის შემდეგ ჩვენის ბელლეტრისტის კალამს უფრო ფართო და მდიდარი ასპარეზი ეფინებოდა წინ, აქ იმის ნიჭს უფრო მეტი მასალა და უფრო დიდი საგანი უჩნდებოდა, რადგანაც ახალის ცხოვრების პირობებში ჩაყენებული ადამიანი უკვე მოსწყდა ძველს წესს არსებობისას, მაგრამ ასე უცბად ვერ გამოეთხოვება თავის ძველს წარმოდგენებს და ზნეობას; ჩვენ გვეგონა, ბ-ნის კლდიაშვილის ნიჭი სწორედ ამის შემდეგ გაიფურჩქნება და აყვავდებაო, მაგრამ განვლო რამდენმამე წელიწადმა და იმედი არ გვიმართლდება. ბ-ნის კლდიაშვილის სამწერლო მოქმედებამაც იჩინა თავი იმ სავალალო ჭირმა, რომელსაც განვითარების შეჩერება, წინმსვლელობის მოსპობა ეთქმის. ამ ჭირმა ჩვენს მწერლობაში ბევრი ძლიერი და უტყუარ ნიჭი დააჩაგრო, ბევრი მომქმედი ძალა გაჰყინა ერთს წერტილზე, ბევრს ნიჭიერს კალამს მოსტეხა წვერი და იმასვე უქადის ბ-ნს კლდიაშვილს.

რითი აიხსნება ეს სავალალო და ფრიად საგულისხმო გარემოება, რა არის ამის მიზეზი—აქ ამ კითხვას ვერ გამოვედევნებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს მიზეზი უეჭველად ზოგადის ხასიათის და შინაარსისა უნდა იყოს, რადგანაც თვით მოვლენა ზოგადია და არა განსაკუთრებითი. თითქოს ქართველი მწერალი იმიტომ ჰკიდებდეს სამწერლო კალამს ხელს, რომ საკუთარი თავისი განვითარება შეაყენოს და მოსპოს. ერთის ან ორის წლის განმავლობაში ჰშლის საზოგადოების წინაშე მთლად თავის აზრებს და გრძნობებს, და შემდეგ, რამდენისამე ათის წლის განმავლობაში იმეორებს ძველს ჰანგებს, როგორც, მაგალითად, თ-დი აკაკი, ან სრულიად იღებს ხელს მწერლობაზე, როგორც, მაგალითად, თ-დი ილია ჭავჭავაძე. თითქოს ჩვენს მწერლებს აზრის განვითარებისა და გონების მოქმედებისა ეშინოდეთო, ჩვეულებრივ იმათის მოქმედების ფარგალი შემოიზღუდება ზნე-ხასიათის აღწერილობის ნაწარმოებით, და ამიტომ მხატვრობითი ნიჭი რამდენისამე წლის წინ-მსვლელობის შემდეგ უდროოდ სჭკნება და ფუჭდება. ჩვენის მწერლობის გახვითარება პირდაპირ შეუძლებლად მიგვაჩნია, ვიდრე მწერალი თავის კალამს მარტო ოდენ იმისთვის იხმარს, რომ ნანახი და გაგონილი აღწეროს; თანამედროვე მწერლობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ შეიქნება თვალსაჩინო და ნამდვილი, როდესაც მწერალი ზნე-ხასიათის ფარგალში არ დაამწყვდევს თავის ნიჭს, გაარღვევს გონების მოქმედებით იმის საზღვარს და მაღლა აწევს სამწერლო კალამს. დღემდე ჩვენის სიტყვა-კაზმულს მწერლობის უმთავრესი ნაკლულევანება ზედაპირულობაა და სიღრმის უქონლობა; რაც უნდა იყოს ამ ზოგადის მოვლენის ისტორიული მიზეზი, სუბიექტიურად ის დამოკიდებულია მწერლების თვითმოქმედების და განსაკუთრებით თვითკრიტიკის უქონლობისაგან. აი სწორედ ამ თვითმოქმედებას და თვითკრიტიკას ვითხოვთ ქართველის მწერლისაგან. შეცდომისა არავის არ უნდა შეეშინდეს, გიოტესი არ

ადამიანი თუ არ შესცდება, ჭეშმარიტებას

მოეწევა; ხშირად შეცდომაც აუცილებელია,

განაც იმის წყალობით ჭეშმარიტება ერკვე

მწერალი, რომელიც შეცდომის შიშით

ბილი ზნე-ხასიათის აღწერას ვერ სცი

მხდალი მწერალია და სალიტერატურო გ

რებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რ

მხდალს მეომარს ომისთვის.

ბ-ნი კლდიაშვილი უკვე ცნობილი მწე

არავის გამოსარჩლებას არ ჰსაჭიროებს

ტომ ჩვენც თამამად ვიქონიებთ მსჯელობ

კალმის უკანასკნელ ნაწარმოების „მიქელა

სახებ. ეს მოთხრობა ცხად ჰყოფს, რომ

ნიჭიერი ბელლეტრისტი სრულიად კმაყ

თავის წინანდელის ნაწერებით და ეხლა

ლოდ მიაჩნია უკან-უკან წასვლა, გადაგ

გზაზე დადგომა. არც შინაარსი, არც

არც ენა „მიქელასი“ აღარ გვაგონებს

კლდიაშვილს, რომელსაც რამდენისამე წ

ნად სამართლიან აღტაცებაში მოჰყავდა

ზოგადოება. არსად ამ მოთხრობაში

ჩვენის იუმორისტის ცოცხალი და

ნიჭი, არა სჩანს ის ნაზი გრძნობა,

იმერეთის მწირს ცხოვრებას ათბობდა,

ის იმედი, რომელიც დღევანდელს ვარამ

გალის ბედნიერების საფუძვლად გვისახავ

ნება იფიქროს ვინმემ, ბ-ნს კლდიაშვილ

და შეხედულება შეუცვლიაო—ეს ცდი

იქნება: „მიქელა“ არც უმეცრობის მოვა

ლია და არც გრძნობათა შეცვლას გ

ბევრად უფრო მართალი იქნება, თუ

რუის რაშს, რომ შეუძლებელია არ ჩატრიალდნენ და თავი ქვეყნის სასაციდ არ გაიხადონ. მაგალითად, ერთი კორესნდენტი შემდეგის გრძნობიერის სიტყვებით ს პოლკოვნიკის გურკოს მზადებას ტ-არტურიდან ლიაოიანში წასასვლელად.

პოლკოვნიკმა დასტოვა რუსეთში თავისი სარელი ცოლი, თავისი პაწია ვაჟი. მათი სურაი პოლკოვნიკს ეხლა თვალწინ უდგას სტოლგი გეოგრაფიულ კარტას სინჯავს, ხანდახან ლს აშორებს ამ კარტას და ხანკრძლივად ქერის თავის ძვირფას ცოლშვილის სურათებს. მოჩნდა, რომ პოლკოვნიკი გურკო ლშვილო კაცი ყოფილა...

თეატრი

რილო. 26 სექტემბერს, ბ-ნ ალექსიშვილის მეთაურობით და მონაწილეობით დგენილ იქნა „კრეჩინსკის ქორწინება“ და ჯო მხარე“. ჩვენი თეატრის სცენაზე ბ-ნ შვილის გამოსვლა პირველი იყო, რადგან ხვის დროს ავადმყოფობის გამო ვერ რო. მეორე მოქმედებაში გამოჩნდა თუ საზოგადოება აღტაცებულის ტაშის ცემით ა. რა თქმა უნდა, რასპლუევის როლი ჩაატარა არტისტმა. საზოგადოებამ რთვა მესხიშვილს სურათების ჩარჩო ვერცხს. მშვენივრად შეასრულა მემამულის მეორეს როლი ბ-ნმა გამყრელიძემ. სხვებიც მბლს შეძლებისა დაგვარად ხელს უწყობდნენ. მა ხალხი ცოტა დაესწრო და შემოსავალიც ი იყო, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს, ბ-ნი შვილი ამით არ შეგვშინდება და ხშირათ ბს.

საყულიელი

—

ლაბრის თეატრი. განათლდა ჩვენი ქვეყანა! ურით დაჯილდოვებულნი ვიყავით, გვაკლდნენ ლოდ დრამატურგები და ეხლა ისინიც გამოგვინენ. ერთი ამათგანი გახლავთ ბ-ნი გრიგორიანცზელი, რომელმაც ქართულად დასწერა 4 მოქებიანი დრამა ავლაბრელების ცხოვრებიდან და უდგინა „ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთა ამხანაგობას“. ახალი პიესა წარმოადგინეს ავლაბრის ნაზე შაბათს, 25 სექტემბერს. ეს პიესა გახლავთ მკვლელი“. ახლა ვკითხავ პიესის ავტორს: უნდოდა ამით ეჩვენებინა ხალხისათვის და, ამას და, რა იფიქრა სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ, საც ადგილი მისცა სცენაზე ამ პიესას? ადგირივ მომხდარ ამბავს აღარ სჯერდებიან, გაზეთემეშვეობით გაგებას და ახლა პირდაპირ აილეს სცენაზე დაანახვეს, რომ ვიღაც „ოხტ ჰაცუტოშვილებს, მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონზე მოსდით ჩხუბი და ძმა ძმას ჰკლავს. ბოძემოვლენ პოლიციელნი და დაიჭერენ მკვლელს. ა ეს. იმის მაგიერ, რომ სცენიდან ზრდი სიტყვა-პასუხი მაინც ესმოდეს ხალხს, ით სიტყვებს იმეორებდნენ მოთამაშენი, რომ იმის გონებაზე მაყურებელნი ყურებში თითებს იცობნენ. განა ეს მიეტევებათ ახალ-გაზრდა სცენის ოყვარეთ, რომელნიც აგერ სამი წელიწადია წარდგენებსა მართვენ ავლაბარში! ვურჩევ ავლაბრელ ენის მოყვარეთ, უფრო ფრთხილად მოიქცნენ და ეთ უშნო და ულაზათო „პიესებს“ ნულარ დასდგან, თორემ ძლივ-წვალებით შეჩვეულ ხალხს სრუად დააფრთხობენ.

ავლაბრელი ნინია.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ნოვ. ვრ.“-ს მოჰყავს საინტერესო ზა, რუსეთის მწვალებლების სტარორიადცების მიერ განსვენებულ მინისტრის ონ-პლევეს სახელობაზე გაგზავნილი. სტარობრიადცები შუამდგომლობენ, რათა ება მიეცეთ გახსნან თავისი სკოლები, საერო ნათლების სამინისტროს სკოლათა საზოდო პროგრამმით, მხოლოდ ამ სკოლებში ავისი სამღვთო სჯულის მასწავლებლები ოლიონ. სთხოვენ აგრეთვე, რომ მთავრობამ არ აუკრძალოს მათი წესისამებრ ეკკლესიო გალობის გამართვა.

„ჩვენ, ხელმწიფის ერთგულ ქვეშევრდომთ,—სწერია სტაროობრიადცების არზაში,—არ გვღებულობენ ზოგიერთ სახელმწიფო ა საზოგადო დაწესებულებათა სამსახურში, მხედრო სამსახურში უნტერ-აფიცრის ხასხსაც არ გვაძლევენ, სამხედრო სასწავლებში კი სრულებით არ ღებულობენ ჩვენ ვილებს“.

შემდეგ სტაროობრიადცები ითხოვენ ნებას, იქონიონ თავისი სამეტრიკო წიგნები. ნიშნავენ იმ გარემოებას, რომ სტარორიადცების მღვდლებს არ უშვებენ საავადყოფოებში მომაკვდავ სტაროობრიადცების ულიერ დარიგებისათვის. ზოგიერთი გაზეთები ცილსა გვწამებენ, სხვა-და-სხვა ყალბ ცნობებს ბეჭდავენ ჩვენ შესახებ. ნება მოგვეცით გაზეთების საშუალებით უარ-ვყოთ ეს მავნე ცნობები.

◆ გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს სწერენ ვლადივოსტოკიდან: ამას წინად აქ წყალი ადიდდა და ვლადივოსტოკი ხმელეთს მოსწყვიტა. ორ კვირაზე მეტი ქალაქის მცხოვრებლები წყლის ალყა-შემორტყმულნი იყვნენ და ფოსტა და ომის ამბები არ მოსდიოდათ. ადგილობრივ მოხელეთ ხელიც არ გაუნძრევიათ, რათა მიეშველებოდნენ მცხოვრებლებს ამ გასაჭირის დროს და საფოსტო გემები გამოეწყოთ, რაიცა ძლიერ ადვილი ყოფილა. ბიუროკრატიულმა უძრაობამ და უდარდელობამ ჩვეულებისამებრ ეხლაც იჩინა თავი.

◆ მოსკოვის ქალაქის გამგეობისა და აღმასრულებელ კომისიის შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა ქალაქში იაპონელ ტყვეების დაბინავების შესახებ. გამგეობა ამტკიცებდა, იაპონელები ცარიელ ყაზარმებში უნდა დავაყენოთო, კომისია-კი კერძო სახლებს არჩევდა იაპონელების დასაყენებლად. ბოლოს აღმოჩნდა, რომ კერძო სახლების მეპატრონეები უარს ამბობენ, არ მოგაქირავებთ სახლებს იაპონელთა დასაყენებლადაო.

◆ უმაღლესად დამტკიცებული კომისია მიმდინარე წლის დეკემბერში მოახდენს სრულიად რუსეთის სათეატრო აღწერას. კომისია გაუგზავნის გუბერნატორებს კითხვათა სიას თეატრისა და სხვა-და-სხვა დროს-გასატარებელ ადგილების შესახებ. შეგროვებულ სტატისტიკურ მასალიდან გამოირკვა რუსეთის არტისტთა რაოდენობა, მათი დანაწილება სპეციალურ ხელობის დაგვარად. ცნობები იქნება შეკრებილი სათეატრო შენობებისა და სკოლების შესახებ და სხვ.

◆ პეტერბურგში მიწვეულ იქნება 27 ოქტომბერს რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს რკინის გზების წინააღმდეგ აღძრული საჩივრები მეტად გადახდილ ფულის, დაკარგულ ან დაგვიანებულ საქონლის შესახებ. კრებამ საშუალება უნდა აღმოაჩინოს ამ საქმის განსაწესრიგებლად.

წერილები

სოფ. პეტროვსკოე (აფხაზეთი). დაბა გუდაუთიდან სოხუმისაკენ რვა ვერსს რომ გაივლით, ზედ ზღვის პირად, შეგვხვდებათ მაღლობი ადგილი, რომლის მდებარეობა და სილამაზე თვალს წარგტაცებთ. ამ მაღლობზე რომ ახვალთ, დიდებული სურათი გადაგეშლებათ თვალწინ: ერთის მხრით გადაჰყურებთ ხან ცელქსა და მოალერსე, ხან-კი აზვირთებულსა და მრისხანე შავ ზღვას, რომლის მეორე, მოპირდაპირე კიდედან ბუნდად მოსჩანან, როგორც აქეთ ეძახიან, ბათუმის მთები; მეორეს მხრივ გაჰყურებთ ცაში წვერ-მიბჯენილ, ნიადაგ თოვლით დაფარულ ბუმბერაზ და მედიდურ კავკასიონის მთებს, რომლის ძირად გაყოლებულია აფხაზთა სოფლები. აი, ამ მაღლობ ადგილზე 12—15 წლის წინად გაშენებული იყო აფხაზების სოფელი. აქაური აფხაზენი მისდევდნენ ხვნა-თესვას და უფრო კი მევენახეობას. მთელი ეს სოფელი დაფენილი იყო საუკეთესო ჯიშის ვაზით—მაღლარით. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აფხაზები წავიდნენ აქედან. თვალ-ცრემლიანებმა და გულდეთუთქულებმა მიატოვეს თავიანთი ნამაგარი სახლკარი (აფხაზური ფაცხა გადასატანად არ გამოდგება), ბაღები, შვილივით ნაზარდი ვენახები, მიჩვეული მიწა-წყალი და თითო-ოროლად აფხაზების სხვა-და-სხვა სოფლებში შეაფარეს თავი. ამ ადგილზე დაასახლეს 70-მდე რუსის გლეხის ოჯახი. ამნაირად გაშენდა ახალი სოფელი „პეტროვსკოე“. თუ როგორ ისარგებლეს ამ ახლად დასახლებულებმა აფხაზებისაგან დატოვებულ ბაღებ-ვენახებით, ამის დასახატავად მოვიყვან ერთ აქაურ რუს-გლეხის სიტყვებს, რომელიც ამას წინად გზაში ასე მესაუბრა: „გავიხედეთ და ეს ამოდენა ადგილები ვაზ-შეზვებულ ხურმასა და თხმელის ხეებით დაფენილი რომ დავინახეთ, ვთქვით: აი, ხალხი, ისიც-კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს ხეები დაეჭრათ, ადგილი გაენთავისუფლებინათ და ზედ პური დაეთესათო. მალე წალდებითა და ნაჯახებით მივესიენით ამ ხეებს, რომელთაც გველებივით შემოხვეოდა მათზე არა-უწვრილესი კაჭიჯის, ავასარხვას და ამლახუს (ადგილობრივი საუკეთესო ჯიშის ვაზები) ვაზები. დავთესეთ პური, მაგრამ თურმე აქაური ნიადაგი და ჰავა-პურის მოსავალს ხელს არ უწყობს და ჩვენც მალე მივატოვეთ ეს საქმე. ამნაირად ეს საუცხოვო ვენახებიც გავაფუჭეთ-გავაოხრეთ და ვერც პური მოვიყვანეთ. ერთი-ღა დაგვრჩენოდა: აფხაზებისათვის მიგვებაძნა და ჩვენც მათსავით სიმინდის თესვისათვის მიგვეყო ხელიო“. აფხაზეთის მსუბუქმა და ნამმა, მაგრამ უცხოთათვის-კი სასტიკმა და გაუტანელმა, ჰავამ არც ეს ახლად დასახლებულნი დაინდო: მრავალი გამოასალმა უდროოთ წუთი სოფელს და ვინც გადარჩა, არც ისინი არიან სანეტარო მდგომარეობაში. ერთის შეხედვითვე მიხვდებით, თუ როგორ დაუღვნია აქაურ ციებ-ცხელებას ეს ერთ დროს იქნებ მძლავრი ხალხი. უმეტესობა თითქმის მოკლებულია შრომა-მუშაობის უნარსა და ძალღონეს. აი, ეს არის მიზეზი, რომ, თუმცა თითოეულ კომლს ათ-ათი დესეტინა მიწა აქვს მიზომილი, მაგრამ ესენი მაინც უადგილობას ჩივიან, რადგან უღონობისა გამო, არამც თუ ახალ ადგილებს ვერა წმენდენ, ასუფთავებენ, ახოებათ ვერ იღებენ,—ის თითო-ოროლა დესეტინა მიწაც-კი, რომელიც აფხაზებისაგან გაწმენდილი შეხვედრიათ, ეკლითა და ბარდნალით იფარება და ამნაირად სახნავ-სათესი მიწა წლითი-წლობით უმცირდებათ. ესენიც, როგორც საზოგადოდ სხვა აქეთ დასახლებული რუსის გლეხობა, მიწის მუშაობის ნაცვლად სხვა მჩატე—თუმცა გაცილებით მცირე შემოსავლიანიც იყვეს,—მუშაობას უფრო ეტანებიან, როგორც, მაგალითად, თუთუნის პლანტაციებში დღიურად მუშაობას. თავიანთ ადგილებს-კი იჯარით აძლევენ აქაურ მეთუთუნე სომხებსა და ბერძნებს.

აქეთ ზღვის-პირა ადგილებში, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან აიწია მიწის ფასმა; მაგრამ ფასს ვინ ერიდება, რომ გასასყიდელ ადგილებს შოულობდნენ. ამით სარგებლობენ პეტროვსკოელები და თავისს ხვედრ მიწას, რასაკვირველია, კაი ფასში ადგილის მძებნელებს უთმობენ, რასაც აქ „პერეუსტუპკას“ ეძახიან. შემდეგ კი გამყიდველნი ისევ მთავრობას აბეზრებენ თავს, დასასახლებელი ადგილები მოგვეცითო. მყიდველეები-კი, მკითხველო, არ იფიქრო მიწის მუშა ხალხი იყოს; არა, ესენი გახლავან სულ სამსახურის ხალხი, ზოგი შიდა რუსეთში, ზოგი კასპიის იქით მხარეში, ზოგიც მანჯურიაში და სხ... აი, ამის მიზეზით მიუბრუნდა ამ ორიოდე კვირის წინად პეტროვსკოელებს გადმოსახლებულთა შესახებ სტატისტიკურ ცნობების შესავსებად მთავრობის მიერ გამოგზავნილი გრაფი სივერსი შემდეგის სიტყვებით: თქვენ სთხოვდით მთავრობას, სამუშაო მიწა არა გვაქვს და გვიშველეთ, მოგვეცითო. მთავრობამ თხოვნა აგისრულათ; თქვენ კი ამ მიწებს იმისთანაებს აძლევთ, რომელნიც სრულიად არა საჭიროებენ; მერე კი მეორე ადგილას იხვეწებით დასახლებას და ამნაირად მიწას უკარგავთ იმ უადგილო გლეხთ, რომლებითაც სავსეა მთელი რუსეთი. იმედია, ასეთ ამბებს შემდეგში მაინც აღარ გაიმეორებთო. ამ წლამდის ამ სოფელში მაგარი სასმელების ერთი დუქანი იყო, ამ წლიდან კი მეორეც მიემატა. სოფლელების—კაცებისა და ქალების—გაბმით ლოთობას აფხაზები რომ უყურებენ, თვალებზე ხელს იფარებენ და გაიძახიან: „ჰალლახ! ჰალლახ! ამას რას ვხედავთ, ამას რას მოვესწარითო“.

აფხაზი

—

ზემოხეთი (გურია). ზემოხეთის საზოგადოება მდებარეობს იმერეთის საზღვარზედ. ზემოხეთლები მისდევენ სიმინდისა და ღომის თესვას. ამ ბოლო ხანებში აქა-იქ გადაბრუნებულს მიწას და გაშენებულს ვაზებსაც შეხვდებით. ზემოხეთის საზოგადოება კომლთა რიცხვით გურიის სხვა საზოგადოებებთან შედარებით მცირედია (300—350 კომლამდეა). სამინისტრო სკოლას ეს საზოგადოება მოკლებულია; სამაგიეროდ ოთხი სამრევლო სკოლა აქვს. ოთხსავე სკოლაში წლიურად იკრიბება არა მეტი 100—130 მოსწავლისა. თუმცა ამ სკოლებს უწმ. სინოდი ყოველ წლიურად 470 მანეთს ეწევა, მაგრამ მოსწავლეთა სიმცირისა გამო მასწავლებლები ვერ არიან ჯეროვნად დაკმაყოფილებულნი. კარგი ხანია ვფიქრობთ ორ-ორი სკოლის თითოდ გადაკეთებას, მაგრამ ვერ მოხერხდა. უექიმობამ ძალიან გაგვიჭირა საქმე და ეხლა მთელი საჯაოხლები ვფიქრობთ სასოფლო სამკურნალოს დაარსებას.

ზემოხეთში შემოდის ორი გზა: დაბა ჩოხატაურიდან და სადგურ საჯევახოდან. გამოსცალდებით თუ არა საჯევახოსა და ჩოხატაურს შუა მდებარე გზატკეცილს, სულ პირჯვრის წერასა და ღვთის ვედრებაში უნდა იყოთ, რომ წუმპე-ტალახების წერა არ გახდეთ, მეტადრე შემოდგომა-ზამთრობით. ურიგო არ იქნება, მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს ამ გზას.

ს. რ—შვილი

—

სოფ. გორა (იმერეთი) ორი წელიწადია, რაც ს. გორის საზოგადოების გლეხები ჩივიან სასოფლო კანცელარიის გადმოტანას ამაღლებიდან გორაში, სადაც იდგა ორმოცი წელიწადი. ეს საქმე მოიგეს სენატში და ყოველივე საჭირო საბუთი ხელში ეჭირათ და ფიქრობდნენ, აწი მაინც მოვა საქმე სისრულეშიო. გორის საზოგადოება შესდგება ათის სოფლისაგან: გორა, სალომინაო, ბაბოთი, ბაგინეთი, როხი, ვარციხე, ზეინდარი, ამაღლება, ინაშაური და ბზვანი. კანცელარია ამაღლებაშია, რომელიც, ბზვანისა და ამაღლების გარდა, დანარჩენ სოფლებისთვის ძალიან დაშორებულია. დაშორებული იქნება კანცელარია ამ რვა სოფელზე რვა ვერსის მანძილზედ, მაგრამ სიშორეს თქვენი ჭირი წაუღია, რომ მცხოვრებლებს სხვაც არ აწუხებდეს, სახელდობრ ის, რომ გზაზე კვერის წყალი აქვთ გასავლელი. ბევრჯერ მომხდარა, რომ წყალ დიდობის მიზეზით დაბრუნებულა სახლში დაბარებული კაცი და ამისთვის ბევრჯერ გადაუხდევინებიათ ჯარიმა. იმ ადგილას, სადაც კანცელარიაა, არ მოიძებნება ერთი ძირი ხე, რომ კაცმა თავი შეაფაროს. რვა სოფელს კანცელარიის გადატანა წინანდელ ადგილას უნდა. ამ რვა სოფელში არის რვაას-ცხრაასი მოსახლე. თვრამეტ ამ თვეს სამტრედიიდან მოვიდა ს. ამაღლებას გუბერნიის უფროსი, რომელსაც ახლდნენ: ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი. კანცელარიაზედ მრავალი ხალხი დაჰხვდა. ხალხმა სთხოვა გუბერნატორს კანცელარიის შესახებ სენატის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. გუბერნიის უფროსმა სთქვა: ის ადგილი, რომელზედაც კანცელარია გინდათ, საზოგადოებას არ ეკუთვნის და მე არ შემიძლიან იქ გადვიტანოო“. ხალხმა ერთ ხმად უპასუხა: ადგილი ჩვენს ხელშია ორმოცი წელიწადი, ჩვენ ვფლობდით და დღესაც ჩვენიაო. გუბერნატორმა სთქვა: ხვალ იმ ადგილას დამხვდით, სადაც კანცელარია გინდათ და ადგილს დავათვალიერებო. მერე სთხოვეს რიონზედ ხიდის გაკეთება. მეორე დღეს ხალხი შეგროვდა შეპირებულ ალაგას. ათ საათზედ მოვიდა, დაათვალიერა ეს ალაგი და წავიდა. ეხლა არ ვიცით, რა პასუხი მოგვივა.

ბიჭიკო ბერუსშვილი

სხვა და სხვა ამბები

მასწავლებელთა კავშირი. მაგდებურში შესდგა მასწავლებელთა კავშირი საბავშვო წიგნების განსახილველად და დასაფასებლად. ერთი ასეთი კავშირი უკვე არსებობს ჰამბურგს. ახლად დაარსებულ კავშირს საკუთარი ჟურნალი ექმნება, სადაც დაიბეჭდება ოქმები კავშირის სექციებისა. დაიბეჭდება აგრეთვე სხვა-და-სხვა საყმაწვილო წიგნების დაწვრილებითი კრიტიკა.

* *

უცოლობა და გაუთხოვრობა. ერთხელ ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა სთქვა, უცოლობა და გაუთხოვრობა ცივილიზაციის ნიშანიაო, ველურნი ყოველთვის ქორწინების მომხრენი არიან. დაბალ საფეხურზე მდგომ და ნაკლებად განათლებულ ხალხში თითქმის ვერ შეჰხვდება კაცი გაუთხოვარ ქალსა და უცოლო ვაჟს ყველას ქორწინება ისე აქვს ძვალ-ხბილში გამჯდარი, რომ ვერ წარმოუდგენიათ გაუთხოვრად დარჩენილი ქალი და უცოლოდ დაბერებული კაცი. ჩინეთში თხოვდება და ცოლს ირთავს ყველა, ლამაზი და ულამაზო, ჯანმრთელი და ავადმყოფი. გათხოვებისა და ცოლის შერთვის საჭიროება ისეა გამჯდარი ჩინელის სულსა და გულში, რომ „აქორწინებენ“ იმათ სულსაც-კი, ვინც გაუთხოვარი და უცოლო მომკვდარა. ფიჯის კუნძულებზე რწმენაა, რომ იმ კაცის სულს, რომელიც უცოლო მოკვდება გზაში იჭერს ღმერთი ნანგანანგა და ნაწილ-ნაწილად აქცევსო. კაფრთა სოფლებში უცოლო კაცს არავითარ ხმის უფლება არა აქვს. ტლასკალში იმ კაცს, რომელიც ცოლის შერთვაზე უარს ამბობს, სასჯელად თმასა სჭრიან. კორეიაში უცოლო ვაჟკაცს მამა-კაცს არ ეძახიან; ამათთვის ცალკე სახელია—იატოვი. ბავშსაც-კი შეუძლიან სცემოს იატოვს—იგი ხმას ვერ ამოიღებს. სხვანიც წაეშველებიან ბავშვს და უარეს დღეს დააყრიან იატოვს. ასეთი სასტიკი სასჯელი, მგონი, ჩვენშიაც-კი აიძულებს ყმაწვილ კაცებს შეირთონ ცოლები.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 სექტემბერი

ხარბინი, 27 სექტემბერი („საკუთ. კორესპ.). ამ ბოლო დროს ჩინეთში დაწყებული მოძრაობა არ ისპობა. გამოჩნდნენ უცხოელთა წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ახალი სექტები. ხმებია, იაპონელები ჩრდილოეთით ჩინელს მცხოვრებლებს იარაღს ურიგებენო. ხუნხუზები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჩინელ მცხოვრებლებს ძარცვავენ.

ტოკიო, 27 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). იუწყებიან, რომ იაპონელები ამ ბოლო დროს ზღვიდანა და ხმელეთიდან ზარბაზნებს უშენდნენ რუსის ესკადრას, რომლის განადგურება უნდოდათო.

მოსკოვი, 27 სექტემბერი. მოვიდა ტრანსპორტი 115 დაჭრილ, 62 ავადმყოფ ჯარის კაცით და ტამბოვის პოლკის დაჭრილ უფროსით გოლუბიევით. ყველა ესენი ლიაოიანის ბრძოლაში არიან დაჭრილნი.—მისულმა ექიმმა დუნკელმა გადმოგვცა, რომ იაპონელებმა ვაფანგოუსთან სროლა აუტეხეს დაჭრილთა სამკურნალო სადგურს. ლიაოიანშიაც ესროდნენ იაპონელები დაჭრილთა საავადმყოფოს, ერთი ყუმბარა დუნკელის ახლოს გასკდა.—პორუჩიკის ლაიმინგის დედამ გადმოგვცა, რომ იმისი ქმარი პოლკოვნიკი ლაიმინგი ნაკუწ-ნაკუწად აქცია შრაპნელმა, ასე რომ დასამარხიც არაფერი დარჩენილა.

პეტერბურგი. 26 და 27 სექტემბერს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

ბახმუტი, 27 სექტემბერი. ვოზნესენსკის მღვიმე-მაღაროებში 80 საჟენის სიღმეზე გაწყდა ბაგირი და ძირს ჩავარდა გალია, რომელშიაც 12 მუშა იჯდა. ამოზიდეს 9 მოკლული და 3 სასიკვდილოდ დასახიჩრებული მუშა.

ქვეილინი (პროვინცია კვანტი), **27 სექტემბერი** („რეიტ. სააგ.“). ჩინეთის სამი დღის ბრძოლის შემდეგ ღოხუნსიანთან ჩინეთის ჯარმა დაამარცხა მრავლად თავმოყრილი მეამბოხენი. ამბობენ, ბოქსერთა მოძრაობა ვრცელდება ჩრდილოეთ პროვინციებში.

პეტერბურგი. ხარკოვის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ვატაცი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორად.

ლოზანნა, 27 სექტემბერი. კავშირის სასამართლომ გადასწყვიტა არ მისცეს სამართალში ინჟენერი იანი ილნიცკი, რომელმაც 28 მაისს რუსეთის ელჩის ჟადოვსკის მოკვლა მოიწადინა.

27 სექტემბერი

ბერლინი, 27 სექტემბერი. მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

ვიანვეი, 27 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ხვალ მიდის აქედან ექსპედიციის მთავარ სადგური. ექსპედიციის უდიდესი ნაწილი უკვე ინდოეთის გზაზეა. ლხასაში სიწყნარეა.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). სათვინანსო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა გააუქმა დადგენილება იმის შესახებ, რომ ყველა ნივთს, რომელიც არ წარმოუდგენიათ პატრონებს ბაჟის გადასახდელად, სახელმწიფო ისაკუთრებდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 24 სექტემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,45	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,52$^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	6-7$^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	91$^1/_2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	392	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	307$^3/_4$	
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	260$^1/_4$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	87$^1/_2$	
4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	82$^1/_8$	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89$^1/_8$	
4$^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	87	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	233	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 4 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანიდან: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, იხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, მცხეთის სვეტიცხოვლის დღესასწაულის გამო, 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ტფილისიდან მცხეთაში წამსვლელი და მცხეთიდან ტფილისში წამომსვლელი მგზავრები მიიღებიან შემდეგ მატარებლებზე:

30 სექტემბერს

№ 469	ტფილ. გადის	ნაშუადღ.	3	ს.	24.	წ.
№ 459	„ „	საღამოს	6	„	30	„
№ 24	მცხეთ. გამ.	„	7	„	30	„

1 ოქტომბერი

№ 457	ტფილ. გადის	დილის	5.	ს.	42	წ.
№ 461	„ „	„	8	„	50	„
№ 463	„ „	„	10	„	18	„
№ 465	„ „	„	11	„	39	„
№ 467	„ „	ნაშუადღ.	2	ს.	02	წ.
№ 469	„ „	„	3	„	24	„
№ 459	„ „	საღამ.	6	„	30	„
№ 471	„ „	„	9	„	19	„
№ 460	მცხეთიდან გამ.	დილის	7	„	27	„
№ 462	„ „	„	10	„	20	„
№ 464	„ „	„	11	„	40	„
№ 466	„ „	ნაშუადღ	2	„	05	„
№ 468	„ „	„	3	„	25	„
№ 470	„ „	„	5	„	20	„
№ 24	„ „	საღამ.	7	„	30	„
№ 472	„ „	„	10	„	45	„

მგზავრობა ტფილისიდან მცხეთამდე ღირს პირველ კლასით—53 კაპ., მეორეთი—32 კაპ., მესამეთი—21 კაპ.

საათები აღნიშნულია პეტერბურგის დროზე.

(3—6.—1)-

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1904 წლის 10 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა სალორიის აგარაკი სასახლკაროდ და სახნავად. ვაჭრობა ადგილობრივ მოხდება. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას მოისურვებს, იმან ბედ უნდა წარადგინოს 10 მანეთი. პირობებისა და გეგმის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე ქალაქის გამგეობაში. (5—6.—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში მიიღებენ შესაკერად კაბებს ძრიელ იაფ ფასად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს. იქვე სახელოსნოს მეორე განყოფილებაში მიიღებენ შესაკერად **თეთრეულს, მეტკებს** და ყოველ გვარ ნაქარგს აბრეშუმის ფერადის ძაფებით.

ჭრა-კერვის კურსებზედ არის კიდევ რამდენიმე ვაკანსია. 3—3



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ხიზრანიის ახლოს. (წ.—17(—35)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები.

5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ბი, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარ რები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები, თხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და ცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე ყ

გამომცემელი ჟურნალისა **ქნ. ნინო ე. ქობულაშვილი.** რედაქტორები { **ქნ. ელ. დ. ერისთა** / **ნინო ნიკ. ზურაბი**

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პაპავისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზ-გ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(შ. 0—8) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКА

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგო

კალოშებისა

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ

და რეზინის სხვა საქონელ

უდიდესი ჯილ

Grand prix)

პარიზის გამოფენაზ

მიენიჭა რუსეთში მხ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერი

რეზინის მანუფაქტურ

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860

რეზინის კ

ყიდვის დროს

ყურადღება მიაქ

ლოშის ძირზე

განსაკუთრებით ამ

ბის დაარსების წ

„1860“ და სიტ

„С.-Петербу

წითელ სამკუთხ

ბრიკის ნიშა

ნარდთ გაფ

აწარმოებს

შრო ს

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ტაშკენტში. და ტფილისს

(60—4

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო .	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. .	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40

აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .

რაფ. ერისთავის I ტომი . .

საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი

აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .

სიბრძნე ბალავარისა . . . . .

აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში

დვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა . . . .

რძე, მისივე . . . .

ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—რიკ სენკევიჩისა . . . . .

დასტურ-ლამა . . . . . .

სურათები საქართველოს მეფეთა, კ ფალთა და ბატონიშვილთა .

ფიზიოლოგია—ფოსტერისა . .

ხენთი რაფეელისა, თარგ. სომხურიდა

ეგანგულოვისა . . . . .